

სასოფლო-განათლების

განათლების ფასი:

მაგნიტი ტფილისში	მაგნიტი	მან.
და გარეშე აღვილებში:		
ქათის წლისა — 7 მან.	— 6	
ნახევრის წლისა — 4 —	3 — 50 კ.	
სანის თვისა — 2 მ. 50 კ.	— 2 —	

პირველი წელიწადი

ბამაღის სამშაბათობით.

ხელის-მარჯვრეა მიიღება:

ტფილისის „სასოფლო-განათლების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კაპა. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. მებუღოვის სახლში, პოლიციის გვერდით.
ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ Тифлисе, въ конторѣ редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографіи Мелікова и К-ѣ

ქოველ გვარი განცხადებანი სასოფლო-სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოდ, და უნდა გამოიზიგნოს განათლების კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კაპა. სტამბაში.

№ 40. სამშაბათი.

I.

3 დეკემბერს 1868 წ.

შინაარსი:

სახალხო განათლების მინისტრის ცირკულარი.—რითი გეგმების ბუჯანკალი და რა სარგებლობას გეძლევის თხუნიველა.—წილაგანა ბუღების ამარჩივა.—მანინებზე საქვეყნო გამოფენაში.—საეკიპო ცნება სიყვება.—საოჯახო ამბები.—შინაური ამბავი.—სახაზინო განცხადება.—მერძობობითი განცხადება.

სახალხო განათლების მინისტრის მიწერილობა (ცირკულარი) შახანის სამოსწავლო მაზრაში სახელოსნო უკოლების დაწესებაზე და გამარჯვლებაზე რუსეთის იმპერიაში.

ცირკულარშია მოხსენებული: „რუსეთში სწავლის კარგი დღეი ხნიდან არის ყველასთვის გაღებული, ვინც კი ისურვებს სწავლასა. შექველი ამას შემდეგაც იქნება. მაგრამ არ შეიძლება, კაცმა არ უწინაა, რომ ბევრნი ამ განათლებით სარგებლობენ, როგორც რიგია, და ზოგნი კი თითქმის ძალდატანებით იღებენ სწავლას და ვერ სარგებლობენ კი იმითა თავის ცხოვრებაში და ამათვის სწავლავ მოხმარებული დრო თითქმის დაკარგულია. ამის მიზეზი სახელოსნო უკოლების უქონლობაა ყოველგან, გარდა სატატო ქალაქებისა და ზოგიერთ გუბერნიის ქალაქებისა; და ამისთანა უკოლები კი ძალიან საჭიროა არაინ ბევრს შემთხვევაში:

1) ამ ჭამად ყველა გიმნაზიები მოწაფეებით გასეზებულნი არიან და ამან აფიქრებინა მმართველობას პროგნოზების გახსნა, ესე იგი ნახევარი გიმნაზიებისა, ანუ პირველი

ათ კლასიანი სასწავლებლების გახსნა. რასაკერძეელია ამ უკოლების გახსნა არ დავეჭირდებოდა, ქალაქებში რომ სახელოსნო უკოლები იყოს გამართული. ახლა ყველა ცდილობს გიმნაზიაში მსცეს თავის ყმაწვილი იმისთვის კი არა, რომ ის საჭიროებდეს გიმნაზიაში სწავლა შესარულოს, არამედ იმისთვის რომ სხვაგან ვერსად მიუცია თავისი შვილი სასწავლებლო. ამის გამო გიმნაზიაში ბევრნი არიან მოქალაქის, საღათისა და გლეხის შვილებიც. აქედან გამომდინარე, რომ ყმაწვილების მშობლები ვერა ხელავენ განათლების საჭიროებას და რადგან ოჯახობაში ხელი აკლიათ, ამისთვის რამოდენსამე ხანს შემდეგ უკანე გაჰყავთ თავისი ყმაწვილები. ეს ყმაწვილები გიმნაზიების მხოლოდ უშლიან: სწავლას ვერ ასრულებენ, რადგან მშობლები არ აკლიან; იმისთვის უნდა გამართონ ცალკე კლასები, ყურის გეგმა მეტი უნდა და შრომის გარდა ხარჯიც ბევრია.

2) ხელოსნობა ჩვენში არ არის გაერცელებული და ეს ძალიან ხელს უშლის ჩვენს ქვეყნის გამდიდრებასა. რუსეთში ბატონკონის დროს ძვირად იქნებოდა იმისთანა მებატონე, რომელსაც შინ არა ჰყოლებოდა ეინზე ხელოსანთაგანი (ან დურგალი, ან ხურო, ან კალატოზი და სხვ.). ზოგს მთელი სახელოსნო უკოლა უქონდა გამართული. როდესაც ბატონკონობითი დამოკიდებულება გაუქმდა, ეს ხელოსნები ჩამოკალენ მებატონეებს და წვიდნენ სატატო ქალაქებში, სადაც დღევან

მოჯამაგირებოთ სახელოსნოებში. ამ სახით შეგა-და-შიგ მხარეს სრულებით მოაკლდნენ მოხელეები. აქედან ხანსა, რომ გუბერნიებში და უფლებში სახელოსნო უკოლები რომ გამართოს, დიდი სასარგებლო რამ იქნებოდა სახელმწიფოსათვის თითონ გამოზდილ ხელოსნებისათვისაც, რადგან კარგს ხელსას აიღებდნენ და იმათთვისაც ვინც დაიჭირა იგებს მათა, ამიტომ რამე მანის შორს სატატო ქალაქიდან აღარ დასჭირებოდათ საჭირო ნივთების დაბარება და ამის გამო მეტი ფასი აღარ წაუვიდოდათ.

3) გიმნაზიაში და უნივერსიტეტში დარჩებოდნენ მხოლოდ ისინი, რომელთაც ენდომებოდათ მართლად მეცნიერების მოპოება და არა შემთხვევით და თავის უნებურათ იქ მიცემულნი. ეს შემსუბუქებდა ყურადღების ქონებასა და დაუსჯელათ მოიშლებოდა უწყისობანი იმითა, რომ დედამის სურვილით ყმაწვილები დარგდებოდნენ თვის თვის შესაფერს და გამოადგეს სასწავლებლებში. შესახალხო განათლების მინისტრმა თავი იდგა, შემოსწავნილებული მოსარგებანი მის დასებულებას ხელმწიფე იმპერატორისთვის ცნობებინა და უფლის სასწავლებლების გადაკეთების დროს კარგი იქნებოდა, ფიქრობს მინისტრმა ამ საგნებზე მიეციათ შეჯერებანი ყურადღება შინა საქმისა და ეწინააღმდეგებას, რადგან სახელოსნო უკოლები უფრო იმათ უნდა ექვემდებარებოდნენ, ვიდრე განათლების მინისტრსა.



ხელმოწევი იმპერატორმა ამ მოხსენებას ზედ დაწერა: ს რ უ ლ ე ბ ი თ თ ა ნ ა ხ მ ა ე ა რ ა მ ა ა ხ რ ი ს ა.

ამ დაწვევტილების ასასრულებლათ სახალხო განათლების მინისტრმა აცნობა შინა საქმისა და ფინანსის მინისტრსა, რომ იმათვის განკარგულება მოახდინონ ზემოხსენებული აზრის ასასრულებლათ; ამასთანავე შანანის სამოსწავლო მანზას სთხოვეს, რომ ისინი შეეწვიონ ამ საქმეს იმდენათ, რამდენათაც იმათგან არის შესაძლებელი.

ესე ზემოთ არის მოხსენებული, ყველა რაც ეცნობა რა შანანის სამოსწავლო მანზასასასრულებლათ, ამასთანავე დირექტორებსაც მიეცათ ბრძანება, რომ ყოველს შემთხვევაში საზოგადოებას აუხსნან, თუ რამდენათ დიდი სასარგებლოა ამისთანა შკოლების გახსნა.

რ ი თ ი გ ე ა ე ნ ე ბ ს ბ უ ზ ა კ ა ლ ი (ხ ა რ ა ბ უ ა) და რ ა ს ა რ გ ე ბ ლ ო ბ ა ს გ ე ა ძ ლ ე ვ ს თ ხ უ ნ ე ე ლ ა (მ უ დ ო) ?

მაისის დღეს, როცა სიციხიანი დღე იქნება ხოლმე, ის არ შეუთრწინავს საღამომით მსხვილი მწერის ბუთილი, რომელიც სწორით დაფარება ხოლმე კაცს, ათ სუს, ან რაც წინა ხედება, ჩამოვარდება ძირს, თითქოს გარტყებულიყო; ცოტა ხანს ისე იქნება, მერე ცილიბოლს, მიწოდან აფირინდეს და განაგრძოს გზა ისე იპირავს. ეს არის მსხვილი მწერი, სახელად ბუზანკალი ხეხილის გამხმობი და ნაყოფის გამფუჭებელი. იმერეთში ამ წერის ფქმანად ხარაბუას. ამ მწერის ჯი თხრის მიწას, სკუმს მცენარის ნედლს ფესვებზე და ამხობს ხეს. ამ ჯი მით უფრო ზრალი მოაქვს, რომ საშინელი გაუმადლარია და სამი ოთხი წელიწადი მინამ მწერათ გადაიქცეოდეს მიწაში დაძვრება და აფუჭებს მცენარეულობას.

როდესაც მწერათ გადაიქცევა, მაშინ ის აღის ხის ტრეტებზე და სკუმს იმის ფოთლებსა და კოკრებსა. ზოგიერთ წელს ეს ბუზანკალები ისე ბევრნი ჩნდებიან, რომ ხეები თითქო ყინვას დაუძრავსო, ისე გატრეტებულები არიან ამ ბუზანკალებისაგან. პრე კოკრის, არც ფოთოლს არ შეარჩენენ და ყოველი მყოვანისათვის ამ ბუზანკალის (ხარაბუას) მოკლენა უზედურება.

დღისით ბუზანკალები იმალებიან ხის ფოთლებში, სადაც ბლომათ ჰვობენ საზრდასა.

მხის ჩასვლისას თუ კარგი დარია, იწყებენ ბუთილი ფრენასა, თუ წვიმიანი დღეა, ფრთები დაუსველებლათ და ფრენა ეღვარა შეუძლიანთ. იმას წვიმიან დღეებში მიიწე საშინლათ ეხარება და ამის გამო აედრიანს დღეებში ჩაძვრება ხოლმე მიწაში. როცა ბუზანკალის ჯი მწერათ იქცევა, ამას შემდეგ ის დიდხანს ვეღარ იცოცხლებს, სულ ორი კვირის სიცოცხლე თულა დარჩება, მაგრამ ამ მოკლე დროს განმეოლობაშია ბევრს აზიანებს ხოლმე სოფელს მყოვანებსა. ბუზანკალი (ხარაბუა) მწერიბის დროს სდებს კვერცხებსა იმისგანვე ამოთხრილ პატარა ორმოგებში. ის კვერცხებიბისთვის ფებს შერადს მიწას. იმის კვერცხები მოყუთანოა და მოვამები არიან. მართი ბუზანკალი სდებს ოცდა ათამდის. მღარ კვირას ან ერთ თვეს შემდეგ რომ ნახოთ ეს ორმოგები, კვერცხების მაგიერათ დაგხვდებთ თითოი პატარა ჭიები, თითოს ექვსი ფეხი აქვს. რადან ჯერ ნორჩები არიან მაგარი ფესვების ხერა არ შეუძლიანთ, ამისთვის სკუმენ დამაღლ მცენარეულობას; იმათ განსაკუთრებით პიროუტყვის ჭიები უყვართ. სამი ოთხი თვე რომ ვაჯი, ჭიები დიხრდებიან და საცოხენი ისე გომარადებთ, რომ დამაღლი პატრები დარა ჰყოფნით და დაიწყებენ მიწაში ძრომასა ცლცლცი, ყოველი იმათგანი ხრავს მცენარის ფესვსა და უფრო ემტრება და ფესვის ფრეხებსა, რომლითაც მცენარე იღებს საზრდას მიწიდან; აქედან ჩანს, თუ რამდენი ენება შეუძლიან ამისთანა ჭიასა, რომელიც კვეცავს ხეხილის ფესვებსა და ახიბობს.

ბუზანკალის ჭიას, როგორც თვითონ ბუზანკალსა, არ უყვარს ცული ამიდი; ამისთვის აედრიან დღეებში ჩადის ღრმად მიწაში და კარგს დღეებში ისე მიწის პირზე ამოდის.


ბუზანკალის ჭი ყოველ წლობით თითო კანს გამოიცილის ხოლმე. ამ სახით სამ წელიწადს სამ კანს გამოიცილის; და ბოლოს გაიკეთებს პარკს, რომ მეოთხე წელიწადს ბუზანკლათ გაღიცივალას იმავე წესით, როგორც აბრეშუმის პარკიდან მეორე კვირებზე გამოვა პეზელა. როცა ბუზანკალის ჭი კანის გამოცივალს შეუძლება ხოლმე, გაითხრის პატარა ორმოსა, კელლებს შემოასწორებს და შიგ ჩაწვება.

როცა მინდერის მიწასა ჰხენენ, სახნისი

ხშირად ამოვადებს ხოლმე ბუზანკალის ჭიას, რომელიც მუხზე მოიკრუნხება და მალე მოკვდება ხოლმე.

ამ ჭიას სკუმს ჭილყავიცა, რომელიც დვის მაგარი ნისკარტით სთხრის მიწას და იღებოქილდენ; მაგრამ გუთანი და ჭილყავი ბევრს არას შევლიან ამ მაინებელ ჭიების გაწყობასა, ამიტომ რომ უმეტესი ნწელი იმათგანი ღრმად ბულობს ხოლმე მიწაში, სადაც ვერც სახნისი უწევს და ვერც ჭილყავის ნისკარტი. შავი და ჭილყავი უფრო იმათ აძლევს კაცს საარგებლობასა, რომ სადაც კი ბუზანკალები გამრავლდებიან, იქ ეს ფრინველებიც ბლომათ მოდიან, შემოვადებიან ხედებსა და სწენდენ ხის ტრეტებს იმისგან. ამ დროს ზოგი იმათგანი ხის ძირში დადის და რაც ჩამოვარდება, ისინი ჰკრიფენ. როდესაც ბუზანკალი გამრავლდეს, კარგი იქნება რომ ხეები შეარხიონ, მაშინ ბუზანკალები ძირს ჩამოვსცივან. მერხანიაში ჰკრიფენ ამ მწერს, სკულტენ და სასუქათ ხმარობენ.

შველა ეს ღონისძიება იმდენათ ვერ აწყობს ამ მაინებელს ჭიას, რამდენათაც თხუნველა (მულა). შინი მერხანიაში და ამ ქვამდ ჩვენშიაც სდენიდენ და სდენიან თხუნველი იმა აზრით, რომ ვითომაც ის სკუმდებს ხეხილის ფესვებსა. მაგრამ სწავლეულებმა დიდი ხანია, რაც საფუძვლიანთ გამოიკვლიეს, რომ თხუნველის ცილები ისეა მოწყობილი, რომ ჭიების მეტის ჭამა არაფრისა შეუძლიანო. მართლაც დასამტკიცებლათ ბევრს თხუნველას გაუშინდეს კუჭიკა, მაგრამ შიგ მატლებისა და ჭიების მეტი ვერა უნახეს რა. ამ სახით თხუნველა აწყობს ამ ჩვენებელს ბუზანკალის ჭიებსა და იმათი აძლევს დიდს საარგებლობას სოფელს მყოვანებსა. მთხუნველა გაუმადლარია და ყოველ დღე იმდენს ჭიას სკუმს, რამდენსაც თვითონ იწონის; მხოლოდ ეს არის სამწუხარო, რომ თხუნველა ზოგიერთს მცენარეს ავნებს იმათი, რომ უფხრის ძირებსა და ამის გამო ისინი ყუითოლებიან და კვლევ ხმებიან. მაღებშიაც ახდენს კვლებსა და გზებს; მაგრამ იმისგან მოტანილი ზარალი სათქმელათ არა ჰიბრის თვით სარგებლობასთან, რომელიც მოაქვს იმასა. მთხუნველას ნახარები გამრავლდეს უნდა ვიფქროთ, რომ იმ მწერის ჭიებიც გამრავლებულან.



სამი ო. ს. ობზნი.

ციეება .

სიეება გამოაჩნდება კაცს ჯერ იმითი, რომ დაწვენიენს კანკალს, თითქმის საწინააღმდეგარს. ამას შემდეგ მისცემს სიესხა-მერე მიეცემა ოფლი და ციეებიანი კარგათ შეკანება. ზაციეების შემდეგ, ავითმოფი ისევე კარგათ შეიკანება და მაღალ კარგი აქვს. მას ან ოთხს საათს მეტს არ გავრძობდება ავითონ ავითმოფობა. ზაციეების დროს, კაცს ასტკივდება სხვა და სხვა აპოფიბია. უფრო ზიარად თავის ტკივილი მოსდის. შეიძლება პირდაპირ სიესით გამოაჩნდეს კაცს ციეება.

ღენეიადგს ციეებას დამაინ ისეთსა, როცა კაცს აციეებს მუდამ-ღმე. ღმე გამოშვებით ციეებას ეძახიან ასეთსა, როცა მესამე დღეს აციეებს. ზოგჯერ ისეთი ციეება სჭირს კაცსა, რომ ყოველ ციეების შემდეგ სამი საბი დღე გადის და შემდეგ გააციეებს ხოლმე. ზოგჯერ უფრო ბევრს დროსაც გაუფლია ხოლმე ერთი გაციონდგან მეორე გაციეებამდე, მაგრამ ამისთანა შემთხვევა იშვიათად ყოფილა, ხშირად მოხდება ხოლმე, რომ დღე და ღამეში ორჯერ აციეებს კაცსა. ბი ან შემთხვევაში იტყვიან, რომ დამასუსტებელი ციეება სჭირს.

შეეღა გვარი ციეება ასე რიგობით არ ემართება კაცს. ზოგიერთ ციეებას პირველად რიგი არა აქვს და რამოდენსამე ციეების შემდეგ ჩასდგება თავის რიგში.

ჩაიდესაც ციეება თანდათან ძლიერდება, მაშინ იმას ეძახიან ასენდიან ციეებასა. ამ დროს ან საწინელი თავის ტკივილი აუარდება კაცსა, ან ფლართს გახდის, როგორც ხოლგირიანსა.

პირველ შემთხვევაში სისხლი იკრებება თავში და მეორე შემთხვევაში ჰლიამის ავითმოფიის დახრჩობასა. სიეების გაელისთანავე ეს ტკივილებიც ეკარგება. თუ მაძინეე რაიმე ნამდვილი საშუალება არ მიეცა ავითმოფობას, მესამე და მეოთხე ჯერ შეიძლება სულიც აპოხდეს. ამ ასენდიან ციეების გარდა საზოგადოთ ციეება არ არის საწინა ავითმოფობა. ხანგრძლივი ციეება ასუსტებს კაცსა, სტორმის უფუქებს, განსაკუთრებით იმათ რომელებს ჰკობიან ადგილში ცხოვრობენ, სადაც ციეება ჯანსაღი უფლებია და ადვილათაც ხდებიან ავით იმითა.

თუცა ციეებას დაწყება სხვა და სხვა

ავითმოფობა, მაგრამ ექიმობა უნდა იყოს მიტკეული ციეების მორჩინაზე და არა იმ ავითმოფობაზე, ამიტომ რომ ციეებასთან ისინიც გაივილიან ხოლმე. ამ სახით ექვი თუ უკლად იწვლება, საფლართო წამალი უნდა მიიღოს და ამით შესაძლებელია ციეებისაგან კაცსა თავი იხსნას. თუ კაცს ხშირი თავის ტკივილი მოსდის, სისხლის გაშვებით შეიძლება, რომ მორჩნეს. თუ ციეებას სხვა ავითმოფობა არა აქვს დაყოლილი, მაშინ უნდა იცოდეს ციეების დრო და იმის წინათ უნდა მიიღებინო ავითმოფის ქინა-ქინა, რომელიც ავითაქში იციდება. მინა-ქინას აბების მიღება კი უფრო ადვილია. ორ-ორი აბი ყოველ თითო მიღებაზე ყოველ ორს საათს; თუ ციეება ხანგრძლივი, ან თუ განძვლებულია, შეიძლება ერთ ზღის ოთხი ან ექვსი აბი მიიღოს.

რადგან ყმაწვილებს მწარე ქინა-ქინის მიღება ეზარებათ, ამისთვის შეიძლება ქინა-ქინა ღორის ქონში აურიოთ და ილიებში გამოსცხოთ, მაგრამ ეს კია, რომ მაშინ უფრო ბევრი ქინა-ქინა სჭირდება და ამისგამო ხარჯიც მეტია.

პირველადვე ბევრი ქინა-ქინა არ უნდა მიიღოს ციეებიანმა, არამედ უნდა დაიწყოს პატარა პატარა ზოშითა და თანდათან უმატოს იმისი ზომა; თუ ასე არ მოიქცა, ისევე შეიქცევის. პესენან ავითმოფობაში ქინა-ქინა ბევრი უნდება, ერთ ზღის ოცი გრანიც შეიძლება დააღვივნოს კაცსა ავითმოფობაში.

სიეების დროს ავითმოფობა უნდა სვას ცაცხვის ნახარში: როცა აკანკალეს და ოფლი აქვს, მაშინ თბილი უნდა სვას და როცა სიესე აქვს, მაშინ ცივი.

საქმლის თომა მადგენი არა უნდა რა, ახალ მორჩინილ დიდ სინათლეს და სიციეს უნდა ერიდოს, თორემ ისევე შეიქცევის.

ღიღინის ციეებით გამძღარი ტყლიბი ქინა-ქინითვე მორჩება.

თუ ციეებას არაფერი წამალი არ მიუღდა და დიდ ხნით აქვს კაცს ტანში გამჯდარი, მაშინ მეტე ღონე არ არის ჰაეა უნდა გამოიცვალოს.

სიეება წინა და წინ გამოაჩნდება თავის ტკივილით, მადა ეკარგება, კანკალით, ტანში დაწყებს მტკრეებს და სხე. ზოგჯერ ამ ავითმოფობისაგან განთავისუფლება ადვილი საშუალებით შეიძლება ხოლმე; უნდა დაუთმოს,

ქერის წყალი სვას. საფლართო წამალი შინდის კუჭის გასწვნიდათ, თუ ოფლი არ მოსდის, ცხელ წყაში ფეხები უნდა ჩააყოფიროს. თუ თავში სისხლი აუვარდება, თავი უნდა დააწებოს მუშაობასა და მშვიდით იყოს, არაფერზე გავაჯეროს.

საუბედურათ ბევრს არ ესმის, რომ თავის ზოგჯერ ამისთანა წამლობა კაცს აპოზარებს ციეებას; როცა ციეება სრულად გამოაჩნდება მხოლოდ მაშინ მოჰკიდებენ ხელს ამგვარ წამლობასა და იმიტომაც ეს ავითმოფობა ადვილათ არ შორდება კაცსა.

მკურნალების აქიმების კრების სხდომაში, ოკტომბრის 2, იმისმა მწევრმა, ია. ი. მალინინმა აცნაოა შემდეგი:

საქციო შარანტუხულ ვაზთში დაბეჭდილია ერთი პატარა სტატია დოკტორი ლესენისა მოსაწვევი თამბაქოს მოქმედება მწვეველს ემაწვილებზედ. მს დოკტორი იკვლევდა თამბაქოს მოქმედებას რამდენიმე წელიწად იმ ემაწვილებზედ, რომელნიც მეშაობდნენ ფაბრიკებში და რომელნიც იყვნენ ყოველთვის სწულელებში და ტანის სისუსტეში. ამ გარკმებას პირველად აწერდა საჭმლის ნაკლებდენობას, საღამოს სინესკისა, გაუწყვეტელი მუშაობასა და სხ., ვიდრე ნამდვილის გამოკვლევით არ დარწმუნდა, რომ გვარი სისუსტე წარმოსდგება თამბაქოს წვეითა.

დოკტორმა ლესენმა განიშჯა ოცდა თერამეტი ემაწვილი ცხრა წლიდან თხუთმეტ წლამდე, რომელნიც ეწეოდნენ თამბაქოსა და ამითში ოცდა შეიღ ემაწვილებზედ ძალიან ემოქმედნა თამბაქოსა; ოცდა ორს ძალიან ეტყობოდათ მოშლილება სისხლის ტრიალით, საზრბოდ მოწველების; გარდა ამისა ეტყობოდათ სიზარმაცე, სისუსტე მოაზრებისა და ცხარი სასმელებიც უყვარდათ; სამს მჯეა სწორად არ უტყემდათ. რეას გაუშინჯეს სისხლი და აღმოჩნდა, რომ სისხლის მარცვლები დასაკოტყებოდათ; თორემეტს ჰქონდათ ჩქარ-ჩქაუა ცხვირთა სისხლის დენა; ათს არა ჰქონდათ მშვიდი ძილი; ოთხს პირში მოხიბული ჰქონდათ კანი.

თერთმეტი ემაწვილი თანაგან, რომელთაც დასტრავეს წვეა თამბაქოსი, ექვსს რეა თევზელ უყვანიან ამ სწულელებისგან განთავისუფლებდნენ რეა თვის განმავალებაში, სამს სწულემა



კლდეა ჰქონდათ, და ორისა კი არა შეუტყუათა.

ამ სტატიის გამო შე. მალინიშა მოუმტა: „შეულო მესესნის სტატიის ამიტომ ვაღუენი გულის ხმას, რომ თამბაქო აგრეთვე უღდალ მოქმედებს ღიდრონებზედაც. მიენებელი მოქმედება იმისი მე თითონ ჩემზედ გავიკვადე თხოვმეტი წლის განმავლობაში როდესაც ვეწეოდი; კატარი ფილტვში, ქოშინი, გულის ფრიალი, უფულობა, დაწლავება, ანუ სიმძიმე მოაზრებისა—ი ესენი იყენენ ბოლო.

როდესაც დავრწმუნდი ამ გვარს ტუდს მოქმედებზედ თამბაქოსა, მე 1863-ში სრულებით დავტყუე თამბაქოს წვეა და ამის შემდეგ ნახევარ წლის უკან მგონა სრულებით გავახლდი მეთქი. ამ გვართვე მოქმედება თამბაქოსი და ამ გვართვე გაახლება იმისი თავის დანებებითა გამოსცადს ჩვენის კრების მწვერთა: ია. მ. ნიკოლსკი, დ. პ. მინოგრადოვა, და ყოველივისა სკლის მ. ა. სებასტიანსკი, რომელიც ნახევარ წელიწადს ეწევა, ვიღრე ფილტვში კატარი და ქოშინი გაუჩნდება, და ნახევარ წელიწადს ანებებს თას, რომ თავი მოაჩინოს სწულებისაგან, რომლის მიხეზი იყო თამბაქოს სმარება. მარდა ამათა, რომელნიც ახლავე მოწად არიან, მე მყვანდნენ ბეერნი ავითმყოფენ თამბაქოს წვეისაგან, და რომ თავი დაანებებს მაშინთვე მორჩნენ. ამის გამო, ვიტყვი დასასრულში, რომ რამოდენიც ენება სიმთვრალესა აქეს მდაბალი ხალხისათვის, იმადენადვე თამბაქოს მოწევა აენებს შუათანა და მაღალ ხალხის გონებასა და ფიზიკურ ღონესა.

მაშინ ებზე პარიკის გამოფენაში.

მაშინებისათვის გამოფენაში დანიშნული იყო ერთი დიდი ნაწილი, სიგრძით ოცდახუთმეტი მეტრი და სიმალით ოცდა ხუთი. შუაზედ მიდიდა გრძელი თუჯის ბალკონი, რომლის ორსავე მხრიდან იყენენ მიწყოზილინი მაშინები და ქვეით მოშვები, რომელნიც მართიდნენ მაშინებსა. ამ ნაწილში ეტირათ ადგილი: პნგლიას 100 ცხენის ღონისათვის, ამერიკას 50, შრანციას 305. აქ აგრეთვე იყო მიცემული ადგილები სხვა მეროპის სახელმწიფოებისათვის.

თუჯის ბალკონზედ ასული კაცი ხედდა ყოველ გვარ ხელოსანობას: კინძისთავების კეთებას, კალთის წენას, საგარცხლის მომზადებას, კეთებას ხელოვნების ყველიებისა, მურდობის ქსოვას, სტამბის ასოების ჩამოსმას, წიგნების ბეჭედს, მესანიკურ ღანთსაკმოს მომზადებას, და ხელჯაგების კრებას, შეიკრულ ქსოვას, ავურის მომზადებას და სხ.

აქ ჩვენ მოგვეწონა ანგლიის ნაწილი, სადაც საკრავის მაშინები განსაკუთრებით კარგნი იყენენ. ამით არა ჰქონდათ მომატებული და სრულებით გამოუსადეგი მოხდენილება ფრანტუბების მაშინებისა, რომელიც ფესაც უმატებს და სიმძიმესაც.

ჩვენ მოგვეწონა განსაკუთრებით საკრავის მაშინები უფ. ნუტონ და შილდონისა. ეს მაშინა შეიძლება იხმარონ გვირისტისათვის, — ღიანდავისათვის და ყაისნალის ნემსის ადგილას. ისინი ძვირფასნი არიან დერკიკებისათვის, ხარაზებისათვის, ხელჯაგების მკერდებისათვის, საკრავზედ კარსიტებისა, ღიანდაგისა, მურდობლის გრვილიებისა და საკრავიკრით მოსაქმისათვის, პერანგებისა, რომელთა, ერთის სიტყვით ყოველგვარ საკრავისათვის, რომელზედაც ახლა უდროვით თვალებს იწეალებენ და მხედველობასაც იხდენენ. ეს მაშინა მუშაობს ხუთისა და ექვსი კაციის ოდენასა. იმისი ფასი ყოველი თავის იარაღით, არის 180 ფრანკიდან 425 ფრანკი; ცელილება ფასისა არის დამოკიდებული მაშინის მორთულობაზედ.

ამ ექსპონენტებმა წარმოადგინეს საკრავის მაშინები, სახილად კლემენტრა და თეოდორა კიხელები. ამ მაშინებზე კარგი, ქალის სასწავლებლებისათვის ჯერ არა მოუგონებიათ; ესენი შეიძლება განართონ რომელ სტროზედაც უნდათ და შეიჯარაზებდაც; ამასვე შეუძლიან იმუშაოს შეიდი წლის ემწევილმა. შასი ამ მაშინებისა არის 38 ფრანკიდან 150 ფრანკამდე.


შრანციის მაშინების ნაწილში შესანიშნავი იყო ავურების საჭრელი მაშინა, რომელიც ერთს საათში 25,000 ავურსა მჭრის. ეს ავური მალეცა შრება და ადვილათაც იწეება. მუშებისაგან, რომელნიც მართიდნენ ამ მაშინსა, ვერ შეეიტყუეთ ამისი ფასი, მაგრამ ისე კარგი რამ არის, რომ ტფილისში რომ გამოართოს ვინმე, დიდს სარგებლობას ნახავს,

რადგანაც ეს სამი წელიწადია, რაც ავურს ძალიან თხოვლობენ და ფასიც ძალიან მთავრება. მარად ამისა ბლერის ნაწილში ენახებოდა ბამბის დასარჩევი მაშინა შოფურის სისტემისა, რომელიც დღეში ექვსსა ფუტს ბამბას არჩევს; ამისი მყოფობილი არის წმინდა ბამბა. წინა მაშინისა არის ხუთი ფუთი და ღირს 500 ფრანკი. ეს მაშინა ამითა სჯობია იმ მაშინებსა, რომელიც იყიდებიან ტფილისში უფ. მალის დეპოში, რომ არის მსუბუქი, იაფი, ბამბას უფრო წმინდათ არჩევს და მეტრსაც იმ მაშინებზედ; გარდა ამისა არა თხოვლობს ყოველივისა კაცის თავს ღვამასა, რომ აძლიის მაშინსა საქმელი, ე. ი. მიწეწევის ბამბა: ამ მაშინსა თავზე ერთი ყუთი აქვს გამართული, რომელიდანაც ერთი უზრალი მაშინა ეწევა ბამბას გასაწევე ცოლინდებობას, ასე რომ ერთი კაცი მოუვლის ექვს ანავარ მაშინსა ერთად. ამევე სისტემისა არიან წერილი მაშინებიც, რომლის ფასი 280 ფრანკია, დღეში ხუთ ფუტსა სწმენდს და სიმძიმით სამი ფუთი არის.

ამერიკის ნაწილში და სხევეზაიც ენახეთ ბევრ გვარს ორთქლის ღიდრონი მაშინები და გემები, მაგრამ ჩვენს სტატიის სიგრძე არ გვაძლევს ნებას იმაზედ ვილაპარაკოთ. ჩვენ ვიტყვი მხოლოდ რამდენიმე სასოფლო სახელოსნობის ნივთებზედ და იარაღებზედ, რომელნიც ენახეთ გამოფენაში.

თამბაქოს ნიშნუშები ენახეთ უკეთესი საბერძნეთისა და ოსმალის ნაწილებში. შრანციუსის თამბაქო, რომელიც გამოფენილი იყო ღამაზით, ძალიან ცუდი იყო. სახელწოდება კაბარალი, რომელიც პარიკში ყველანი ამხარებენ, ჰგავს მახორკა ნარევის კანასტრისა; ასე რომ ჩვენში არა გვინაია, თუ ვინმე მოსწიოს, მდამალმა ხალხმაც კი. ჩვენში მოსული თამბაქო ბეგრითა მჯავრს შრანციუსის თუთუშისა.

მრავალ აბრეშუვის მკეთებელ ქალსაგან ჩვენ ვიტყვი მხოლოდ პილანტის აბრეშუვის ჰაზზედ, რომელიც იძლევა ნაქრის ფერს პარკსა და კარეს მაგარს აბრეშუშსა; ეს აბრეშუმი არც კი ერჩევა ფურცლის აბრეშუშსა. ამასთანავე ჰია სკამს ძალიან სასარგებლო ხის ფორალთა, ჩინეთის იფნსა, რომელიც ძალიან მალე იზდება და ყველა ჰაფისა და ადგილის ამტანეც არის; ამ ხეს არც გვადვილსა ეწინიან. პილანტის ჰია იკვებება თითონ ხეზედვე, ცის ქვეშ; მაგდენ მოვლასაც არა



ახლოლობას: მხოლოდ ხეს უნდა გადააფორნა
ფი მეთულის ცხრილი, რომ ფრინველმა
არ შეაწუხოთა კია. პარკის მოგროვებამდე
დღი ხარჯი არ უნდა. მსევე შეიძლება ესთ-
ნათ გენავგრჩაქის აბრეშუმის ქიახლდ.

ჩვენ ამითი არაგესურს დავამტკიცოთ, რომ
ბილანტის აბრეშუმის ქია სრულებით დაიჭერს
უთის აბრეშუმის ქის ალაგსა შემდგეში
და ან იმას შევდაროს; ჩვენ გესურს მხოლოდ,
რომ ახლანდელ განწლებულ აბრეშუმის
ქქებს მიეშველოს რამ. თუნდა ბილანტისა
და ან აბრეშუმის ქია. მარდა ამისა ეს ქია
რომ გაერცელდეს და თუთის აბრეშუმის ქის
ეთმოყოფამდე გადაიაროს, მინც ბილა-
ნტის ქის ვაშენება არ იქნება სახანო,
ბიტომ ერთი საქარეი ნითით მომატებული
ექვენება. მამოფენაზედ ენახეთ ძალიან კა-
ვი ნიმუშები ბილანტისა და გენავგრჩაქის
ჩემის აბრეშუმის და იმათად ნაქსავენიცა.

სამხრეთის შრანცილიდან იყო მოტანილი
ეგრნარი ღვინო. ჩვენ არ დაუცადეთ ამ
ამოფენის ნაწილის ბოლოსა და არცა ეგო-
ნებ, რომ კარგათ წასულიყო, ამიტომ რომ
ესპანენტები მკათათვის პირველადინცა კი
ძალიან ცოტანი იყენენ, ისც სულ იმისთა-
ნები, რომელთაც ჰქონდათ მხოლოდ ეპურ-
ში ანგარიში, რომ მიეღოთ მენდლები და
ანუჭებო.

სხვათა შორის შეენიშნეთ ღვინის იარადე-
რი, როგორც საქაჯაი უფ. სამენისა, და ათო-
ყოფის ეაზი გოგირით მოსარჩენი იარალი.
ამ იფი (ორი მანეთი) იარალის საშუალებით
ერთს კაც შეუძლიან გადააყაროს დაფქული
გოგირით ერთს საათში ნაწუხს, რომელნიცა
მადგანან ას აღლზედ მჭკრიე.

შრანტუის ღვინობაში ახლა შამპანსკი
ღარ მოწონათ; ზოგი ამბობს, რომ შამფან-
სკს შტრიის შეუშენა ღვინოები კიდცა
სგობიანო. ოკი წლის შტო დიკემი ამჯო-
ბინეს ყველა შრანტის ღვინოებსა, მაგრამ
ძალიან ძვირი არ არის (ბოთლი ცხრა მანე-
თად). აგრეთვე აქედნენ შატო ლაფიტს და
სს.

შირიშისა და საქართველოს ღვინოებმაც
მიიპყრა თვალ გამოფენაზე; განსაკუთრებით
თავილ ს მ. შორანტის ბაღების ღვი-
ნოები მოეწონათ.

არ ჩევე, მოვლა და მოხმარება
ჯილაგინი ბუღებისა.

საქონლის ჯინის გასუყეთებულად ჯი-
ლანის ბუღას დიდი მნიშვნელობა აქვს, ამი-
ტომ რომ ბუღა ამკებს ასსა და ორასს ფურსს
და ხზის აძლევს თავის კარგსა და აეს თი-
სებასა. პეკედანა ჰსჩანს, რომ უნდა ცდი-
ლობდნენ მომატებულ ნაწილად კარგი ბუ-
ლის არჩევას ვიღრე ფურისა.

შულის არჩევაში პირველად უნდა ჰქონდეთ
მხედველობაში: ჯილაგინობა, აგებულენა,
ტანი და სიმთელე. საკრო არის, რომ ბუ-
ღა წმინდა ჯილაგისა იყოს და არა ნარევი,
ამიტომ რომ მაშინ უფრო კარგად გადას-
დებს ნაყოფს ყოველს თავის ღირსებას.

აგებულება ბუღისა უნდა იყოს შემდეგი:
პატარა თივი, შუბლი განიერი წინ გამოშე-
რილი რქებითა. შენო მსხვილი, დიდი ღაბები
და კისერი ძალიან სუქანი არ უნდა ჰქონდეს.
ბუღები განიერები უნდა, ხერხიამლი გრძელი
და შუაზე პატარა დახრილი. მუცელი კარგა
შემგრავლებული, არც აწეული და არც და-
შეხებული. ბაე ღამაში უნდა, მრგვალი და
ხორციო საესე. შესები მუხლიდან დაჭერი-
ლი ჩლიქებამდე მოკლე.

მაგრამ რადგანაც სარგებლობა საქონლის
მოშენებისაგან არის სხვა და სხვა გვარი ამი-
ტომ ბუღაც უნდა აირჩის იმ ჯილაგისა, რომ-
ელსაცა აქვს რომელიმე საკუთარი ღირსება:
თუ უნდათ რომ რძიანი საქონელი გააშე-
ნონ, მაშინ ბუღა უნდა იყოს ნაზი, მგზავსი
ფურისა; უნდა ჰქონდეს პატარა თივი, წერი-
ლი რქები, გრძელი კისერი, დიდი, მაგრამ ჩა-
მოშეხებული კი არა მუცელი, გრძელი და
წერილი კუდი. ტყევი წმინდა წმინდავე ბეწ-
ვით საესე; განსაკუთრებით უნდა ეცდნენ,
რომ ბუღა იყოს კარგი რძიანი ფურისაგან.
სახოცი და გასაუქმებელი საქონლისა გასა-
ჩენად არჩევენ დიდ ბუღასა, რომელსაც ტუ-
ჩებიც მსხვილი აქვს; მკერდი განიერი, ბა-
რკლები და გვერდები მსხვილი. და თუ სურთ,
რომ საქონელში გააერცელონ შესამაგლი ხა-
რები, მაშინ ბუღა უნდა იყოს შემდგის ნი-
შნებისა: აგებულება უნდა ჰქონდეს მკვიდრი,
მსუბუქი, მაგარი თივი, მსხვილი და მაგარი
ზევით ახრილი რქები; ძალიან გაერცელე-
ბული ქეჩო და ღაბები; განსაკუთრებით ფე-
ხები უნდა ჰქონდეს მაგარი, განზე გავგუ-

ლი, გარდა ამისა უნდა იღენენ სწორედ და
რიგზე.

დასამატებლად შეიძლება იხმარონ ბუღები
ორისა და ორანხეგარი წლისა, და წილი-
წად ნახეგრზე ნაკლები კ აღარა. მხოლოდ
ანი ბუღები ექვს წელიწადს შემდეგ დასამა-
ტებლად აღარ ვარგან. თუ ძალიან პატარა
ბუღა იხმარეს დასამატებლად, მაშინ იმისთა-
ნი ვეღარ შედის სისრულეში და ვეღარა ჯი-
ლანის ღირსებას აძლევს ჩამომავლობასა. შე-
სი წლიდან რეა წლამდე ბუღები ზარამაცდ-
ბიან კიდცა და ძალიან მძიმეც არიან, ასე
რომ ფურებს ვერ აუტანათ იმათი სიმძიმე;
გარდა იმისა სიმგრეში ბუღა ძალიან ავი არის.

ბუღასთან ერთი წლის განმავლობაში ეს
ფურზე და ხეზე მომატებული არ უნდა მიუ-
შენ, და თუ ამკებენ მხოლოდ რამდენიმე
თვის განმავლობაში, მაშინ ორმოცდა ათი,
პასათან დღეში ორი ფურის მეტი არ უნდა მიუ-
შენონ, თუ მეტს მიუყენენ, მაშინ რომელიც
ბოლოს მიედნენ, იმათი სიმძიმე იქნება სასტიკო.

ჯილაგან ბუღებს უნდა ინახავდნენ გრ-
ცელს და მალღს თივლებში; გარდა ამისა
აქ ყოველითვის წმინდა პატარა უნდა იყოს. თუ
ერთს თივლაში უბნათ რამდენიმე ბუღა, მა-
შინ უკვე ბუღისა უნდა ჰქონდეს საკუთარი
ახური; ეს ახურები რომ ერთმანერთიდან
მოშორებულნი იყენენ და ლატებით შემო-
ვლელულნი, კარგი იქნება. მს ამიტომ, რომ
მაშინ მოვლაც ავილია, და თუ ერთი აქვე
როგორმე, მეორე დაბმულს აღარ ექნება იმი-
სი რქებისაგან შოში. საქველი ჯილაგან ფუ-
რებს უნდა ჰქონდეთ ყოველითვის ნოყიერი,
სამყიერი და მომატებული კი არა; ექვს საგე-
ბადაც უნდა ჰქონდეს, რამ. საერთოდ უნდა
აღდგნო თივლი, რომ ჯილაგან ბუღას თივი-
ლა ჰქონდეს არც სინესტე იყოს, არც
სიციე და არც სიცხე. შოველი ცული
მოვლა ცულათ მოქმედებს ჯილაგანი მი-
შენებისა ბუღის კარგა მყოფობაზედ.

საფლუმში, სადაც არ არიან იმისთაა შე-
ძლე მოსახლენი, რომ საკუთარი ბუღები ჰყე-
ნდეთ, შეუძლიანთ რამდენიმე კომლი ერთი-
ნერთს მიუდგენენ და იყილან ჯილაგანი ბუ-
ღა. მს იქნება ძალიან კარგი, ამიტომ რომ
ახლა ძალიან წერილი და უსარგებლო საქო-
ნელი შენდება ჩვენში. ჩვენ ეციოთ მოსახ-
ლენი, რომელსაც ერთი ფურისაგან წლიწა-
დში ძლიეს სამი მანეთი შემოსდის, როდესაც



კარგი ფური შემოიტანს წელიწადში ათთუ-
მანს წმინდა მოგებასა.

საოჯახო სწავლება.

აშშში (აფთქაში იკითხე). ეს არის დი-
დადი გამოხადევი საშუალება ლაქის ამო-
ყვანი; მეტადრე არის კარგი აბრაშუმის მა-
ტერიიდან ლაქის ამოხაყვანად, რომელსაც
მაღელ ამოჰყავს და გააქრობს ყოველს და-
ლაქულს.—

პოტაში და სოდა.—ამათ ამოჰყავთ ლაქე-
ბი თეთრეულიდან და კარგათ რეცხავს.—

ხარის ნაღველა.—ამას აქვს თვისება ქონი-
ან ლაქის ამოყვანისა დაწვეულს სისუქნისასა
მატერიალად და არც ფერს ამოიყვანს და
არც გაახუნებს, არც ნაქსოვს წაახდენს, და ამის-
თვის აბრეშუმის მატერიისათვის უფრო სახმა-
რია, ვინც საპონი.—შევიღებთან მატერიალად
არ იხმარება.—ამაში ხანდისხან აუჩუქვენ, ტე-
რპენ ტინას. (აფთქაში იკითხეთ) ღვინის
სპირტის, თაფლს კვერცხის გულს და თიხას.—

ეს ნაღველა ახალი უნდა იხმაროთ.—**მე-**
შენსება გინდათ, ბუშტი ჩაასხით, პირი მოჰ-
კაოთ, მღელარე წყალში ჩადვეთ, წამოაღ-
დეთ და მერე გააშრეთ და შეინახეთ.—

ტეერცხის გული. ამასაც ნაღველა-
სათი აქვს თვისება, ისეც ახალი უნდა იყოს—
ხანდისხან სეპიდარს ერთ ზომისას დასხმენ
და ისე ხმარებენ.—

მაგარი ღვინის სპირტი. ამას ამოჰყავს წმინ-
და სათელი, ქონი, რომელიც მაგარი ლაქა
არის, სტეარინი და ყოველი ფისინი ლაქა.
ქრასკების ლაქა, ზეთისნის ქრასკებისა. შისი
და კუბრი შალის ნაქსოვიდან.

თიხა. (საჭურჭლე თიხას), ცარკას ამოჰ-
ყავს სისუქენ. მთერთული ნაქსოვისათვის
ცარკას უფრო ხმარობენ და რომელიც და-
წითლდება, თიხას.—

მელი და ყვავის უმარილი ჰქუწუნდაც ბრ-
წყინდელი თეთრის მატერიას, მატკლისას, აბ-
რეშუმისას, ხალიჩებს ბლასს და სხვათა გეა-
რთა. ეს ორივე პარაშოკათ იხმარეთ.—**შისენი**
უნდა დააყარო გაქმულ მატერიას ნელა წა-
უსვა ხელცახოცით ზედ და წყვლით გაბერტყა.

მეჟუნას მარლის ამოჰყავს მელანი და ქანგი.
ღვინის მარლის ანუ კლემოპატარას ამოჰ-
ყავს ლაქა რკინის ქანგისა, ქონი, ეკვაპის
თვალისგან დალაქული.—

კალის მარლის წყალს ამოჰყავს ნაცარ-
ტუტისგან დაწვეული ლაქა. წითელი ყვავი-
ლიან ის მატერიიდან ამოჰყავს შარდის
დაქა ყველა მატერიიდან მომეტებულით რი-
ბელსაც წითელი ფერი აქვს, აგრეთვე ხილი-
საგან დალაქული.

საზოგადო წესი გარეცხისა და გაახლება
ტანისამოსისა. ბანისა, კანაფისა, სელის მა-
ტერია თეთრი ფერი ან სხვა უხუნო ფერში
შეღებლილი ირეცხება ჩვეულებრივ საპონში
რეცხით, დაწითული ბანბეულაბა როცა სა-
პონში გარეცხით, უნდა გაველოთ მინარეს
წყალში, რომელშიაც უნდა ერიოს ცოტა შა-
ბი, ან ცოტა რამ მჟავა, (ძმარი ანუ
ღვინის წვენი) ძისიყას შემდგომ გარეც-
ხისა, სახამებელი უყავით და ცხელი უფო-
თი დაუთოეთ.

პრუტევა პირველად ჩასდებენ თბილ
წყალში, მერე სიფრთხილით ჩასდებენ კა-
ნენის პარკში, იმითი ნელთბილ წყალში გა-
ალაღალდებენ.—**ბული** და კრუტევა გარეც-
ხინე წყალის ორთქლით და მერე წმინდა
ციწყალში გააღეთ.—

შავი კრები. ბაირეცხება ხარის ნაღველაში.
ვილას გაზს და ბლონდას ჩასდებენ ჯერ
თბილ წყალში, მერე გაალაღალდეთ ოთხ-
ჯერ ცხელსა ხანის წყალში და უბოლოთ გო-
გრილი. შემდგომ რომ კარგათ გათეთრდეს,
როცა უბოლოთ გოგირდი, მაშინ გარეცხეთ
ლილასა და ქოჭარში, შეახვიეთ ტილოში
და თბილს ალაგას გააშრეთ.—

ბალახისაგან დაწვეული ლაქა. **მე** რომ
გარეცხით არ ამოვიღე ამ გვიარი ლაქა, კვერ-
ცხის გულით გარეცხეთ. **მე** ამითაც არ ამო-
ვიღე კრემორტარტარი (ანუ ღვინის მარილი)
პარაშოკად დაყავით და გახვებით, თუ რომ
ან ტალახისაგან ფერი დაჰკარგა მატერიაში წა-
უსვით ან ლიმონის წვენი, ან ცხარე ძმარი.

შარდის ლაქის ამოყვანა.—რას წაშს შე-
ტყოთ მაშინვე უნდა დასახთ წყალში გარეული
თხელი ამიაკი (აფთქაში იკითხეთ); თუ
რომ ძველია მჟავუნას სიმჟავით ამოვი-
ღებოთ, ამდენი მჟავარტლისა, ლაქისა, კომბლისა

და ან ბოლისა ტერპენტინის ზეთით და-
სველეთ ის ალაგი და თითებთ გახვით
შემდგომ ტერპენტინა კვერცხის გულით
და წყლით გამო იყვანეთ თუ ამითიც არ
ამოვიღეს, თუ ყვავილიანა, მარლის სიმჟავემ ამ-

ოიყვანს, თუ თეთრია ან შეღებულო, ან კლემო-
პატარტარი და ან მჟავუნის მარილით ამოვი-
ღებოთ.

მფლისაგან ლაქა დაწვეული ამოვი, რომ
გარეცხის შარდისა, წითელს ყვავილიანისა კალ-
მარლით (ძოლვანია სოლი). წყალში რომ გარე-
ცხით და იმაში ის ადგილი გარეცხით, მაშინ
ვე ამოვი.—

ამოყვანა ზეთიანისა, ქონის სათთლისა-
გან ლაქების ამოყვანა. შრეველი ლაქა
სიმსუქნისაგან დაწვეული ამოვი ტერპენ-
ტინის ზეთით, ამ ზეთით ის ალაგი დასვე-
ლეთ, სადაც ლაქა არის თითებთ სრისეთ
მერე ისეც ის ზეთი წაუსვით, შეიღვან დაყ-
რეთ ჩიბუხის თავის თიხის პარაშოკი, როცა
გაშრეს ჩოტკით წმინდეთ, მერე ის თიხა წმი-
ნდეთ ჰურის გულით.

ამოყვანა ლაქებისა, რომელიც იქნება
დაწვეული ზეთისაგან ლაქი, ზეთის კრა-
სკებისა და კუბრისაგან. მისენიც ასე ამო-
ვიღებ, როგორც სისუქნის ლაქები.—**შის**
და ამ გვიარი წებო ამოვი ერბოთიცა და
ერბო ოღველონით ამოვი.—

ამოყვანა შალის ნაქსოვიზედ ხალეისა.—
პირველათ წყვლით გაბერტყეთ, მერე არ
ჰქონდეს, მერე საპონი წაუსვით ხალეზედ
შეზალოთ და ყოველი ლაქებზედ დაწვევით
სამსამი წვეთი ხარის ნაღველა და მერე გახვ-
ებით, მაგრამ ერთად საპნითა, ასე რომ ხალეში
ქაფიანი იყოს. შემდგომ ხარის ნაღველას მერ-
ე წყალი დასხით და ჩოტკი დასვე-
ლეთ და წაუსვით მასულს ხაზზედ, შემდგომ
გაქმით და გააშრეთ.

ნესეი ძმარი. შაფტკენით ნესეი, ძალიან
შემოსული არ იყოს, დასუკრით ნაჭრებად, ჩა-
ყავით ჯამში, დაასხით ცხარე ძმარი. მითვე
რას უყან ამოიღეთ ნესეის ნაჭრები, შავში
რის საღვეთკით, მერე წყალს და ძმარს
ხარწეთ, ამდენი რომ ჩალოთ გაიხვებოთ, მე-
რე ამოიღეთ, ბანკაში ჩააწყეთ, როგორც მო-
ყავით დარიჩინი და მიხაკი, მერე დასხით თე-
თრი ცხარე ძმარი ასე, რომ სულ ზოვიდა-
ადგეს ძმარი, მოუჭარეთ ბუშტი ბანკასა. რა-
დენსამე დღეს მსუგე დადგეთ, მერე ცი-
აღაგს დადგეთ.—

ბლუბალი ძმარი. ძარგათ მწიფეთ ალუბალ
ნახევარ გირგანქას უხუნე დაჰყავთ, ალუბალი ჩ-
ყავით ბანკაში, მოაყავით შაქარი, დარიჩინი
და მიხაკი დასხით მოღვლებული და გაიღე



ბელი ძმარი.—მაღუქრეთ თავს ქალღლი დაჩხელიტეთ სადგისთ, მზეგუ ვადგით, მანამ წითლად შეიღებებოდეს ძმარი. მით ბოთლ ძმარს ნახევარ გირვანქას ან სამი წილი გირვანქას შუქარი უნდა.

2.) ალუბალი ბანკაში ერთი პირი ჩაყარეთ და მოაყარეთ სუნელიანი მასალა, დაასხი ძმარი, მერე თხელი სიროპი მოაუღღეთ შუქრისა და დაასხით. სამი ღღე მზეში დადგეთ, მეტე ცივად შეინახეთ.—

3.) წინა ღღით ალუბალი გამოწურეთ, გაწურეთ, ბოთლში ჩაასხით და ერთ ღღეს ასე იყოს. მერედ ღღეს რამდენიც გირვანქა გამოაგწურათ, იმდენ გირვანქას ორი გირვანქა შუქარი უნდა, მოადღუდეთ ერთი ნაწილი ალუბლის წვენი, ორი ნაწილი ცხარე ძმარი ხარშეთ, კეთი ხადეთ, ისე რომ თხელი სიროპი შეიქნეს. როცა გაცივდეს, დაასხით ალუბალს, რომელიც უნდა იყოს ბანკაში მოაყარი რაგობით სუნელიან მარილით.

ჩაიდება ხილი: ღამასხი, ქლიავი, ალუბალი, ყრველი ამ გვარი ხილი ინახება ამ წვენით.—

მით ეცდარა წყალს (ესე იგი სამ თუნგსა) ბირვანქა ნახევარ მარილი, თი გირვანქა თაფლი ან შუქარი, ესენი კარგათ ხარშეთ, და გააციეთ; ამავე დროს ხილი ვარცხეთ კარგათ, მოაყარეთ ამას მიხაკი, დარიჩინი, ანისუნე. ჯაგუნი ჩაყარეთ ბანკაში, ან პატარა ბოჩკაში, დაასხით ზემოთ მოხსენებული მოხარშული და გაცივებული წვენი. შადაკარით ბუწილ და შეინახეთ ან მიწაში ან წყალში და ან გროლს მარანში.

მსხალი ძმარში შენახული. მწიფე, მგრამ ხორცი მავარი უნდა ჰქონდეს მსხალსა, ვარცხეთ წყალში. ბოჭკაში ჩაწყეთ როგ რიგათ. მითი როგი მსხალი, ერთი როგი ალუბლის ფოთალი, ძირს დაუფინეთ ასე თავამდის, ზეითაც ფოთალი მოუვიდეს. მერე მოადღუდეთ ძმარი თაფლით. მით ბოთლს ძმარსა ორი გირვანქა თაფლი მოუწოდება. შაკივით და დაასხით მსხალსა; ბოჭკაში, მარანში შეინახეთ გრილად.

ნესვის მარენადი.—ჯერ შემოუსუკელი ნესვი გფუცქენით, დასქრით წყლილად და დაასხით ცხარე ძმარი. მითი ღღე და ღღე ასე იყოს, მერე ძმარი ვადმოსხით, ახალი ძმარი დაასხით.—ხუთჯერ ასე დაასხით, მერე ნესვი

უკანსენელ ვადმოსხულ ძმარში მოხარშეთ, დააყარეთ ჯაგუნი, დაწყალი მიხაკი და დარიჩინი. ჩაწყეთ ბანკაში და დაასხით ისე ეს ძმარი.

მამოზა ლობიოსი.—მაღუდრ დასხით, ან წყალ მოხარშეთ მარილ წყალში, მერე ცივი წყალი დაასხით. რომ შეზრეს ძლიერ ფეხში შედგით, და მალ-მალ აბრუნეთ, გაახმეთ ასე; შეინახეთ ტილოს პარკში ან ბანკაში, ან ქილაში.—როცა გნებეთ იხმართ, დააღბეთ ცივწყალში და მერე თბილში მოხარშეთ შუქარი უყავით.

მარენათი ლობიოსი.—ჩაყარეთ ჩაწყეთ ბოჭკაში ლობიო როგ როგად. დააყარეთ ყრველს როგ მარილი, ჩაატანეთ წიწკა, კამა, დუნის ფოთალი და სხვა მასალეებით, მერე დაუცეთ ბოჩკა მავრა.—მერე მოხარშეთ ძმარი წყლით გააციეთ და პირიდგან დაასხით დაუცეთ და ფისი წაუსეთ. მარანში დადგით ქვიშზე და ხანდისხან ავრავით ბოჩკა.

აკუსი. (ანუ ცხარე წილი) მოიღეთ კონბოსტოს და ყვილით კონბოსტოს კუჭები. მაროხის პარკი, ლობიო მწიანე, თაღვამი, სტავილა, ქარხალი ნესვის ქერქი, და სახანთროსი, სატაკური, სიმინი პატარა, წელილი კიტრი, ბადრიჯანი; ამათ უყავით სანელებელი:—მიხაკი, დარიჩინი, ილი, დაუნის ფოთალი, წიწკა, ტრახუნა, კოკა. შეიძლება მწიკრ ნუშიცა, ასე რომ ერთ გირვანქა ზემოხსენებულს საწნილებს ორ-ორი მისხალი სანელებლები უნდა. ამათ უნდა დაასხიდღუდარე მარილ-წყალი, მერე საცურებ ვადმოიღეთ, მერე ბანკაში ჩაწყეთ, მერე ცხარე ძმარი. მით ბოთლს ძმარს ერთი მისხალი დარიჩინი ჩაყარეთ, ავრეთე მიხაკი და სხვა სანელებლები და თითო კოჭი მარილი ესენი ერთით წამოადღუდეთ, გააციეთ და დაასხით.

ბოჭკაში შენახვა, თავის წვენი. მოწყობეთ შემოსული კომში, ყუნწი მოუწყობეთ, გაწმინდეთ კარგად და ჩაწყეთ ქილაში როგ როგად. მერე სხვა კომში დასქრით წერილად, შემოღდით ტაფით ცეცხლზედ, რომ წვენი გამოვიდეს, გააციეთ ეს წვენი და ქილას დასხით ასე რომ კომში წვენიცა დასქაროს. მხურეთ ქაღალდი და გროლს ალაგ შეინახეთ, როცა მოგინდეთ იმის ამოღება უთუთათ კოჭით უნდა ამოიღოთ.—

ბოჭკაში კრაშევი. დასქრით წელილ ნაქ-

რებთ კომში, თსლის გულრ ამოსუქრით დაქრილი კომში მოხარშეთ ლენიში და ნახევარ წყალში, მერე ღღე ბანკაში ჩაყარეთ, მერე მოადღუდული ძმარი შუქრით დაასხით; თავამდის, მერე კარაქი გადნეთ ტუფაში და დაასხით პირამდის, ასე ერთ წელიწადს შეინახება.—

შინაური აზიანი

თელაში. ჩვენს გულს ისრე არა ესიაზოგენებრა, როგორც საქართველოს ხალხის სწავლაში წარმატება, თუნდ ოსის ოდენიც რომ იყოს ეს წარმატება. შოველსა ხმას საქართველოს ამ გვარს წარმატებაზედ აღტაცებაში მოყუევართ, როგორც ყოველი საქართველოს კეთილ-ღღობის თანამგრობდელი. ხოლო რადგან კაცის ბუნება ისრეთია, რომ როდესაც სასიამოვნოს და გასახარს რაიმე შეიტკობს, უნდა სხეასაც გაუზიაროს თვისი გრძნობა და მით შეგება მისცეს თავის გულს, სისხარულით აღტაცებულსა; ამისთვის ჩვენც ძალდატანებელი ეხდებით გაუზიაროთ მითხველს, თუ ისრეთი რა სასიამოვნო ხმა გავიგონებ. როგორც ზემოთ აღწერილდგანაც სჩანს, ეს ახალი ამავე შეგება სასწავლებლის გახსნას, რომელსაც მკითხველი, როგორც ეგონებთ, სასიამოვნოდ მიიღებს.

როგორც სხეგმა დაგვიწმუნეს, თელაგის უტყლის სოფელს შილდაში ყოფილა და ებოლც არისო ვახსნილ სასოფლო სასწავლებელი. ჩვენ სხვის ნათქვამს სიტყვებს აჯოფილა და არისო“ ეკეთი ეხმარობთ იმ მზეგით, რომ ჯერ ნამდვილად და დაახლოვებით არ შევიტყუებო: არის მართლა არაწმუნულს სოფელში სასწავლებელი და მოსწავლეებს ასწავლიან ჩასმე თუ არა, და იმისთვის ეტრც არა ფერს ეტყუით ჯერ ხანობით იქაურს სწავლაზედ და სხვა მის შესახებ კარგნიღებუბად დაქეშმარტებით. იმედი კი გვაქვს, რომ თავის დროზედ დაქეშმარტებით შევიტყუებთ ყოველს, რაც შეგება აღნიშნულს სასწავლებელს, და მაშინ ვრცლად მოვილაპარაკებთ ამაზედ „ღროების“ მკითხველებთან.

22 ივნის აწმდგომის 1868 წლისა ჩვენ ეხებით მასწავლებელი ზემოთ აღნიშნულის სასოფლო სასწავლებლისა, მ. შილაოჩინი მღვდელი ღმირტიკი ბენიევი, რომელსაც, როგორც მასწავლებელს, წინა დღეებში მივღო კიდევ პირველად ჯამაგირი, როგორც ეს



თეთონ სთქვეს და ჩვენც ნამდვილად დაე-
ჩაწუნდით ამ დაქვემდებარებით. ჩვენ, რადგან-
ნაც იმედ გვაქვს უმაღლეს მთავრობაზედ,
რომ ის არაყის არ მისცემდა ჯამაგის ამ სა-
განზედ, უკეთუ არ შეეცხო ნამდვილად სას-
წაღებლის განხნა და მასწავლებელი ჯამა-
გირის ღირსად არ გაეზადნა, ამისთვის უნდა
უფლებოთ, რომ აღნიშნული ს. შილდის სა-
სწავლებელი გამართულიც და კარგს მდომარე-
ობაშიაც იქნება და ნამდვილადც უნდა იყოს
ახლა.

წმერთმა განამარჯღოს სასწავლებლები სა-
ქართველოში, თუ ესენი საზოგადოებისთვის
სასარგებლონი იქნებიან. . . .

წმერთმან კეთილად მოახმარეთ მასწავლე-
ბლებს მთმიერ აღებული შრომის ფასი, უკე-
თუ ისინი სჯულიერად იღებენ მას და ახსოვეთ
ის საღმრთო წერილის სიტყვები, რომლითაც
„ღირს არს“ მხოლოდ „მუშაკი სასყიდლისა
თვისისა“, და არა ზარმაცი და უსაქმო კაცი.
წმერთსა ესხოეთ, რომ აღნიშნულს ჩვენ მი-
ერ ს. შილდის სასწავლებლის მასწავლებელე-
ზედაც წინააღმდეგად არ ასრულდეს ჩვენ მი-
ერ მოყვანილი საღმრთო წერილის სიტყვები,
მასელი.

22 ნოემბერს
1868 წელს.

სახაზინოო განცხადება.

ბჭეთა მაცუპის პრიკაზის განკარგულებით, შორის
უზღდის სასამართლოში წელს 9 დეკემბერს იქნება და-
ნიშნული ვაჭრობა და კანონისამებრ მეორედ ვაჭრობა
იყავ და ნიკოლოზ წაეთის ძემა სულხანაგების მა-
მულის, გაყიდვებზე რომელიც მდებარებს შორის უზღდში
სოფელს შროკებს, რადგანაც ესენი არ აძლევენ
დარჩომილს ფულს იმ სესხისას, რომელიც გამოიტანეს
პრიკაზიდან 1859-ში 6,000 მან.

შისაც მსურდეს ამ მამულის სუიდა, იმათ შეუძ-
ლიანთ ნაზან სია შორის უზღდის სასამართლო-
ში.

საქართველოს და იმერეთის წმ. მართებელი სი-
ნოდის კანტარა ამითი აცხადებს, რომ დეკემბრის თაბ-
ნი კანტარის სასამართლოში იქნება დანიშნული ზეპი-
რად ვაჭრობა ორაგულის დაჭერისა ტყვარში და პრა-
გეში, და ამავე თვის რეჟში მეორედ ვაჭრობა;
დღოს მაკრეკლებულნი და დაბეჭდილი კანცე-
რტებიც მიიღებან; პირობები ამ ფორათისა შე-

იღუბა ნაზან კანტარის სასამართლოში ყოველ დღე
ცხრა საათიდან ორამდე, დღე-საწყოლთ ვარდა. მი-
საცა სურს ზეპირად ვაჭრობაში შემოსვლა, იმათ თხოვე-
ნისათჳ, რომელიც უნდა იყოს დაწერილი მანეთიან ქა-
ღალაზედ, უნდა წარმოადგინონ მოწმობა თავიანთი
წოდებისა და გიარობიც; თუ გიარობი სახლში სდგა-
ნან, მაშინ ცეცხლის შიშის აკლუბისა მოწმობაც;
ეს ყოველი უნდა წარმოადგინონ ვაჭრობისა და
ვაჭრობის წინაღებებში. დაბეჭდილი განცხადებანი
უნდა გამოგზავნონ უკანასკნელ 12 საათამდე ვა-
ჭრობის დღესა. ეს განცხადებანი უნდა იყვნენ დაწე-
რილნი მანეთიან ქალაღებზედ და იმ ფორმითა, როგო-
რიც არის 1909 სტ. მეათე ტომის პირველ ნაწილში
ასწილი. შასი უნდა იყოს დაწერილი ასოებითა, და
უნდა იყოს გამოცხადებული შიგა, რომ ამ ფსად ვი-
ღებ და უნდა მიგატარა პირობის შესუცუელად. მამ-
სთან უნდა წარმოსდგეს მოწმობა წოდებისა და გიარ-
ობიც. თუ ამ გვარად არ მოიქცევიან, იმათი თხოვე-
არ იქნება შეწუნარებული. დაბეჭდილი განცხადებანი,
თუ გამოგზავნეს ზეპირ ვაჭრობაში, არ მიიღებან,
აგრეთვე არ მიიღება არა გვარი ახალი პირობა იმის
შემდეგ, რაკი მეორედ დაფასება გათავდება.

განცხადება.

ზამოვიდა № 39 „სასოფლო ზაზე-
თისა“, სადაც დაბეჭდილია მგაღლითი
თუ როგორ აღრიცხება დასახსნელი სე-
სნი გლმებისათვის ტფილისის გუბერნი-
აში. ეს მგაღლითი ძალიან ნათლად მს-
სნის მამულების დახსნის წესს მთავარ-
მის შეწყობით.

ეს ნომერი „სასოფლო ზაზეთისა“ ის-
ყიდება მწფი აჯიანციის და პლა-
დათოვის საწინე მგაზინში ტფილი-
სს. შეთაის—ლომ. შეეჯარღენაძის
მგაზინში. ბეჭდისყიდება ის ნომრები,
სადაც დაბეჭდილია დასახსნელი პირო-
ბის შედგენა და მებატონის განცხადებ-
ეღტებებისამი მამულების დახსნაზე ტფი-
ლისის გუბერნიასში.

შასი ნომრისა ექესი შაური.

პლადათოვის საწინე მგაზინში ტფილისის
ისყიდება რუსულ—ჭართული ლექსიკონი
ჩაზინოვინსა.

შასი 1 მანეთი და ათი შაური,—გაგზავნი
1 მანეთი და ოთხი აბაზი.

შპარწვილს ქაქსს, რომელსაც დაუსრულე-
ბია სწავლა პარიჟში, მსურს ასწავლოს ფრან-
ცულული ენა.

პღრესი „ლორეისა“ რედაქციაში იეთიხე.

**საბილიოგრაფიო ცნობა.
ბუნების კარი,**

საქმავწილო წონინ დაბალ კლასაში სხსხარამამლი, შედგენილი ი. ზოგე-
ღმაშვილისაგან, ბეჭდიდან გამოვიდა; წიგნს შედგენენ სხვა და სხვა სტატები: ბო-
ტანიკური, ზოოლოგიური, ანთროპოლოგიური, ფიზიკური და გეოგრაფიული. სა-
ზოგადო გეოგრაფიის ცნობების შემდეგ დაბეჭდილია საქართველოს გეოგრაფია წიგ-
ნი თავდება საუმაწილო ლექსებითა და მასთან დამატებულია საქართველოს
კაკრტა, რომლის მაშტაბი 40 ვერსია ერთ დიუიმზედ. სიგეცით წიგნი ცამეტ ბეჭდის
თაბასს იპურობს თაბასის 12/0 ტანისასა. „ბუნების კარი“ ისყიდება ამ ხნობით მხო-
ლოდ სასულიერო სემინარიაში, ი. ზოგებაშვილისასა და უ. მართანოვის წიგნების
მალაზიაში.—შასი ყველგან 65 კაპეცია.